ოქმი #14

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის

ქ. ცაგერი 06 სექტემბერი, 2023 წელი

საკრებულოს სხდომას ხელმძღვანელობდა საკრებულოს თავმჯდომარე: ჭაბუკი ჭაბუკიანი
სხდომას ესწრებოდნენ: საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე: რეზო ხეცურიანი
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები: გ. გუგავა, მ. კოპალიანი
საკრებულოს წევრები: კ. მუშკუდიანი, თ. ჭაბუკიანი, ზ. ყურაშვილი, მ. ხაბულიანი, ო. ჩაკვეტძე, ე. საღინაძე, ნ. საღინაძე, მ. მამარდაშვილი, თ. ნემსწვერიძე, ნ. ბურჯალიანი, გ. გურგუჩიანი, ბ. ახვლედიანი, ნ. ტვილდიანი, რ. ყურაშვილი, მ. მურცხვალაძე, დ. მურცხვალაძე, ი. ყურაშვილი, გ. კოპალიანი, გ. ახვლედიანი, ა. მახარობლიძე, ა. თვარაძე.

სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე (ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში ამბროლაურის, ლენტეხის, ონის, ცაგერის მუნიციპალიტეტებში): ა. თუთისანი
მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი: მ. ლეთოდიანი
მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი: გ. ხმელიძე
მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიულ საკითხთა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი: ი. ბურჯალიანი

საკრებულოს აპარატის უფროსის ფუნქციების შემსრულებელი: მ. თოდიძე
საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი: ნ. მეგრელი

დღის წესრიგი

დადგენილებები:

1. ,,ცაგერის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ'' ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 23 დეკემბრის №38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/ლ.ზალკალიანი, მ.ლეთოდიანი/

2. ,,ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის შევსების, ჩაბარების, წარმოების და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ'' ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 2 ივნისის №13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/ლ. ზალკალიანი, ი. ბურჯალიანი/

განკარგულებები:

1. ცაგერის მუნიციპალიტეტის 2023 წლის 6 თვის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის შესახებ.

/ჭ. ჭაბუკიანი, კ. მუშკუდიანი/

2. ცაგერის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ქ.ცაგერში რუსთაველის ქუჩა №39-ში (ს/კ 89.03.24.255) მდებარე 24.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზებისას საწყისი საპრივატიზაციო საფასურის განსაზღვრის შესახებ.

/ლ. ზალკალიანი, გ. ხმელიძე/

3. ცაგერის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ქ.ცაგერში რუსთაველის ქუჩა №39-ში მდებარე ორსართულიანი შენობის (ს/კ 89.03.24.254 01/500) პირველ სართულზე მდებარე 22.50 კვ.მ ფართის ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზებისას საწყისი საპრივატიზაციო საფასურის განსაზღვრის შესახებ.

/ლ. ზალკალიანი, გ. ხმელიძე/

4. ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს და მერიის 2023 წლის მეოთხე კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ.

/ლ.ზალკალიანი, ჭ. ჭაბუკიანი, ზ.ხეცურიანი, მ. თოდიძე/

გადაწყდა, რომ სხდომაზე დღის წესრიგით წარმოდგენილ საკითხებზე კენჭისყრა მოეწყოს ღიად:

/საკრებულოს სხდომას ესწრებოდა 25 დეპუტატი/

კენჭისყრაში მონაწილეობზე უარი განაცხადა ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომრემ ნინო ტვილდიანმა, ფრაქცია ,,ლეჩხუმი მომავლისთვის“ თავმჯდომარემ გოგიტა ახვლედიანმა და ფრაქციის წევრებმა.

დღის წესრიგი

დადგენილებები:

1. „ცაგერის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 23 დეკემბერის №38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/ლ. ზალკალიანი, მ. ლეთოდიანი/

მომხსენებელმა - მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა მამუკა ლეთოდიანმა აღნიშნა, რომ ცაგერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში მეშვიდე ცვლილების საფუძველია სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებებისათვის საქართველოს მთავრობის მიერ ცაგერის მუნიციპალიტეტში სტიქიური მოვლენების შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების მიზნით გამოყოფილი თანხა 1780000 (ერთი მილიონ შვიდასოთხმოციათასი) ლარი. აქედან 380.0 ათ. ლარი მუნიციპალიტეტს გამოეყო მთავრობის განკარგულებაში შეტანილი წინა ცვლილების დროს, რომელიც ასახულია მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტში, ხოლო 1400.0 ათ. ლარი არის დამატებით გამოყოფილი თანხა. ამასთან ერთად ბიუჯეტიდან თანადაფინანსების სახით გამოიყოფა 7459 ლარი.

,,საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 22აგვისტოს განკარგულებით მუნიციპალიტეტს გამოეყო 4097442 (ოთხი მილიონ ოთხმოცდაჩვიდმეტიათასი) ლარი. საიდანაც 40962920 (ოთხი მილიონ ოთხმოცდათექვსმეტი ათასოთხასორმოცდაორი) ლარი, როგორც წინა პერიოდში გამოყოფილი თანხა ასახულია მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტში, ხოლო დამატებით გამოყოფილი თანხაა 1150.0 ათ. ლარი.

ცაგერის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტში ცვლილების შეტანა უკავშირდება ასევე ბიუჯეტით დამტკიცებულ პრიორიტეტებსა და პროგრამებს შორის თანხის გადანაწილებას. მუნიციპალიტეტის სინამდვილეში, მიუხედავად იმისა, რომ წყალმომარაგების სფეროში ხორციელდება მრავალი ინფრასტრუქტურული პროექტი, მაინც პრობლემებია შექმნილი. ,,მევენახეობა-მეღვინეობის განვითარების პროგრამიდან“ დარჩენილი თანხის (115.0 ათ.ლარი) ნაწილი 75.0 ათ. ლარი მიიმართოს მილების, შესაბამისი დეტალების და ავზების შეაძენად.

დამატებითი პროგრამების ფინანსური უზრუნველყოფის მიზნით ბიუჯეტით დამტკიცებულ პრიორიტეტებსა და პროგრამებს შორის მოხდეს შემდეგი გადანაწილება:

შემცირდეს: ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა 115.0 ათ. ლარით და მერიის არაფინანსური აქტივები 34.0 ათ. ლარით - სულ 149.0 ათ. ლარი.

გაიზარდოს: წყლის სისტემების რეაბილიტაცია 75.0 ათლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები 54.0 ათ. ლარით და საგზაო ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა 20.0 ათ. ლარით - სულ 149.0 ათ. ლარი.

ბიუჯეტის ცვლილების საფუძველია ასევე საქრთველოში გერმანიის განვითარების ფონდისა და ცაგერის მუნიციპალიტეტს შორის გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე ,,ცაგერის მუნიციპალიტეტში პროექტის ,,საირმის სვეტებთან მისასვლელი ბილიკების ბილიკების კეთილმოწყობა“ პროექტის ფარგლებში მუნიციპალიტეტისათვის ავანსად გამოყოფილი თანხა 48900 ლარი, რომელიც ბიუჯეტის შემოსავლებში აისახება გრანტებში, ხოლო გადასახდელებში კეთილმოწყობის ღონისძიებები.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი გაიზრდება 2577.56 ათ. ლარით და შეადგინა 23155.01 ათ. ლარი.

აზრი გამოთქვეს: კ. მუშკუდიანმა, გ. გუგავამ, ჭ. ჭაბუკიანმა

აღნიშნული დადგენილების პროექტის განხილვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი:

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 21-მა დეპუტატმა

დადგენილება მიღებული იქნა (თან ერთვის)

მომხრე: 21

წინააღმდეგი: 0

2. ,,ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის შევსების, ჩაბარების, წარმოების და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ'' ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 2 ივნისის №13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/ლ. ზალკალიანი, ი. ბურჯალიანი/

მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიულ საკითხთა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსმა იამზე ბურჯალიანმა განმარტა, რომ 2023 წლის 5 ივლისის საკრებულოს სხდომაზე მიღებულმა დადგენილებამ ,,ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ოქმის შევსების, ჩაბარების, წარმოების და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ'', გაიარა სამართლებრივი ექსპერტიზა, გამოვლინდა ხარვეზები:

1. ოქმის შედგენაზე პასუხისმგებელ პირად ,,წესის“ მე-2 მუხლში მითითებული იყო ,,მერიის სტრუქტურული ერთეული“, უნდა იყოს მითითებული ,,მერიის ზედამხედველობის სამსახურის საჯარო მოსამსახურეები“.

2. წესში მითითებული იყო ადმინიტრაციულ სამართალდარღვევის ოქმის გასაჩივრების წესი. ამ მიზნით დამტკიცებულ №2 დანართს დაემატა მე-10 მუხლი, რომელშიც გაწერილი იქნა ოქმის გასაჩივრების წესი და ვადა.

ამ ხარვეზების გამოსწორების აუცილებლობამ გამოიწვია აღნიშნული დადგენილების ცვლილება.

აზრი გამოთქვეს: მ. ხაბულიანმა, ზ. ყურაშვილმა, ჭ. ჭაბუკიანმა

აღნიშნული დადგენილების პროექტის განხილვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი:

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 21-მა დეპუტატმა

დადგენილება მიღებული იქნა (თან ერთვის)

მომხრე: 21

წინააღმდეგი: 0

განკარგულებები:

1. ცაგერის მუნიციპალიტეტის 2023 წლის 6 თვის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის შესახებ.

/ჭ. ჭაბუკიანი, კ. მუშკუდიანი/

ინფორმაცია მიღებული იქნა ცნობად.

(განკარგულება თან ერთვის)

2. ცაგერის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ქ.ცაგერში რუსთაველის ქუჩა №39-ში (ს/კ 89.03.24.255) მდებარე 24.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზებისას საწყისი საპრივატიზაციო საფასურის განსაზღვრის შესახებ.

/ლ. ზალკალიანი, გ. ხმელიძე/

მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა გიორგი ხმელიძემ აღნიშნული განკარგულების პროექტთან დაკავშირებით განმარტა, რომ ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიას ქ. ცაგერში რუსთაველის ქ. №39-ში საკუთრებაში გააჩნია უძრავი ქონება 22.50 კვ. მეტრი, რომელიც შესულია საპრივატიზაციო ნუსხაში, აღნიშნული შენობა არის ორსართულიანი, შენობის მეორე სართული დატვირთულია, რაც შეეხება პირველ სართულის, ფართის ნაწილი 2021 წელს გაიყიდა ელ. აუქციონის წესით, ღნიშნულ გასხვისებულ ფართს ესაზღვრება ზემოთ ხსენებული 22.50 კვ.მ. ფართი. რადგანაც აღნიშნული ქონება შეტანილია საპრივატიზაციო ნუსხაში, მერია გეგმავს მის გასხვისებას ელ. აუქციონის წესით.

სსიპ ლევან სამხარაულის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2023 წლის 12 ივნისის საექსპერტო დასკვნით განსაზღვრული არის აღნიშნული ფართის საწყისი საპრივატიზაციო საფასური, ცაგერის მუნიციპალიტეტის მერია ითხოვს საწყისი საპრივატიზაციო საფასურის განსაზღვრაზე ცაგერის მუნიციპალიტეტის თანხმობას.

აზრი გამოთქვეს: ზ. ყურაშვილმა, ო. ჩაკვეტაძემ, რ. ხეცურიანმა

აღნიშნული განკარგულების პროექტის განხილვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი:

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 21-მა დეპუტატმა

განკარგულება მიღებული იქნა (თან ერთვის)

მომხრე: 21

წინააღმდეგი: 0

3. ცაგერის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ქ.ცაგერში რუსთაველის ქუჩა №39-ში მდებარე ორსართულიანი შენობის (ს/კ 89.03.24.254 01/500) პირველ სართულზე მდებარე 22.50 კვ.მ ფართის ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზებისას საწყისი საპრივატიზაციო საფასურის განსაზღვრის შესახებ.

/ლ. ზალკალიანი, გ. ხმელიძე/

მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა გიორგი ხმელიძემ აღნიშნული განკარგულების პროექტთან დაკავშირებით განმარტა, რომ ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიას ქ. ცაგერში რუსთაველის ქ. №39-ში საკუთრებაში გააჩნია უძრავი ქონება 24 კვ. მეტრი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა რომელიც შესულია საპრივატიზაციო ნუსხაში, რადგანაც აღნიშნული ქონება შეტანილია საპრივატიზაციო ნუსხაში, მერია გეგმავს მის გასხვისებას ელ. აუქციონის წესით.

სსიპ ლევან სამხარაულის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2023 წლის 12 ივნისის საექსპერტო დასკვნით განსაზღვრული არის აღნიშნული ფართის საწყისი საპრივატიზაციო საფასური, ცაგერის მუნიციპალიტეტის მერია ითხოვს საწყისი საპრივატიზაციო საფასურის განსაზღვრაზე ცაგერის მუნიციპალიტეტის თანხმობას.

აზრი გამოთქვეს: კ. მუშკუდიანმა, გ. გუგავამ, ჭ. ჭაბუკიანმა

აღნიშნული განკარგულების პროექტის განხილვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი:

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 21-მა დეპუტატმა

განკარგულება მიღებული იქნა (თან ერთვის)

მომხრე: 21

წინააღმდეგი: 0

4. ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს და მერიის 2023 წლის მეოთხე კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ.

/ლ. ზალკალიანი, ჭ. ჭაბუკიანი, ზ.ხეცურიანი, მ. თოდიძე/

აღნიშნული განკარგულება სხდომის თავმჯდომარემ დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 21-მა დეპუტატმა

განკარგულება მიღებული იქნა (თან ერთვის)

მომხრე: 21

წინააღმდეგი: 0

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ სიტყვა ითხოვა ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ლეჩხუმი მომავლისთვის“ თავმჯდომარემ გოგიტა ახვლედიანმა და პირადი ტელეფონის საშუალებით სხდომაზე სიტყვით გამოსვლის ვიდეო გადაიღო, მან ისაუბრა, რომ აუცილებელია კეჭნარის მეწყრული ზონის მონიტორინგი, შეეხო ცაგერის ნაგავსაყრელზე არსებულ მდგომარეობას და ქალაქში ცენტრალურ გზებზე არსებული საკანალიზაციო ჭების მოწესრიგებას, ასევე ქ. ცაგერში ე.წ. ,,ატეკის ეზოს“ დასუფთავების საკითხს, ისაუბრა სასმელ წყალთან დაკავშირებით - კერძოდ რა მდგომარეობაა სოფელ ალპანაში ,,ცაცხვების“ უბანში, სოფელ წიფერჩში და სოფელ აღვში, ასევე სოფელ აღვის გზის გარკვეული მონაკვეთისა და ნასპერი-სანორჩის გზის რეაბილიტაციის შესახებ. შეკითხვა დასვა დიალიზის ცენტრის გახსნასთან დაკავშირებით და ისაუბრა სახანძრო-სამაშველო სამსახურის შენობის რეაბილიტაციაზე.

აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით პასუხი გასცეს სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილემ (ადმინისტრაციულ - ტერიტორიულ ერთეულებში ამბროლაურის, ლენტეხის, ონის, ცაგერის მუნიციპალიტეტებში) ალუდა თუთისანმა და საკრებულოს თავმჯდომარემ ჭაბუკი ჭაბუკიანმა, აღნიშნეს, რომ თითოეული საკითხი ძალიან მნიშვნელოვანი და საყურადღებოა. არამარტო ამ საკითხებზე, არამედ სხვა პრობლემებზეც მუდმივად მიმდინარეობს მუშაობა, შესაბამისად, ეტაპობრივად მოგვარდება, ამის შესახებ ინფორმაცია აქვს სხდომის ყველა წევრს. ფრაქციის ,,ლეჩხუმი მომავლისთვის" თავმჯდომარემ გოგიტა ახვლედიანმა საუბრის დასრულების შემდეგ ისე, რომ არ დალოდებია პასუხებს, დატოვა სხდომათა დარბაზი, ამდენად, განმარტებები სხდომის დანარჩენმა წევრებმა მოისმინეს - საკრებულოს თავმჯდომარემ ჭაბუკი ჭაბუკიანმა დიალიზის ცენტრთან დაკავშირებით განმარტა, რომ „რეგიონული ჯანდაცვა ცაგერს" დაემატა კიდევ ერთი პროფილი - ჰემოდიალიზის ცენტრი, რომელიც კლინიკის მესამე სართულზე განთავსდება, როგორც მან აღნიშნა, უკვე მიმდინარეობს სამუშაოები და დიალიზის ცენტრი წლის ბოლოსთვის გაიხსნება, რაც შეეხება სახანძრო-სამაშველო სამსახურის შენობის რეაბილიტაციას, სახანძრო სამაშველო სამსახური ექვემდებარება შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს, ხოლო შენობა მუნიციპალიტეტის ბალანსზე არ ირიცხება.

ცაგერის ნაგავსაყრელის, კეჭნარის მეწყერის, სასმელი წყლისა და გზებთან დაკავშირებულ საკითხებთან დაკავშირებით ისაუბრა სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილემ (ადმინისტრაციულ - ტერიტორიულ ერთეულებში ამბროლაურის, ლენტეხის, ონის, ცაგერის მუნიციპალიტეტებში) ალუდა თუთისანმა, როგორც მან განმარტა, ცაგერის ნაგავსაყრელის ტევადობის რესურსის ამოწურვამდე, იმერეთის რეგიონში აშენდება ახალი ევროსტანდარტების შესაბამისი ნარჩენების განთავსების ობიექტი, რომელიც მოემსახურება იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონებს. ახალი ობიექტის ექსპლუატაციაში გასვლის შემდგომ, შესაბამისი სტანდარტებით დაიხურება ყველა ძველი ნაგავსაყრელი, მათ შორის ცაგერი. რაც შეეხება კეჭნარის მეწყერს, ამ საკითხთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტში ჩამოსული იყო გერმანელი სპეციალისტები, აღნიშნული ტერიტორია დაათვალიერეს როგორც ადგილზე, ისე უპილოტო საფრენი აპარატებით, არის შესაბამისი დასკვნები და შედეგად მიმდინარეობს მონიტორინგი. რაც შეეხება სამელი წყლის საკითხს, კერძოდ, წიფერჩის წყალთან დაკაშირებით, პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების ჯეროვნად შეუსრულებლობის გამო დამკვეთსა და შემსრულებელს შორის მიმდინარეობს სამართლებრივი დავა, უახლოეს დღეებში დაიდება სამხარაულის დასკვნა, აუცილებლად გაირკვევა ბრალეულობა და დადგება პასუხისმგებლობის საკითხი, ხოლო სოფელ აღვის წყალთან დაკავშირებით განმარტა რომ წყალსადენის მაგისტრალზე ორი წერტილი დაზიანდა მაღალი წნევის გამო, გამოცხადებულია ტენდერი მილების შეძენაზე და მოხდება აღდგენა, რაც შეეხება სოფელ ალპანაში ე.წ. ,,ცაცხვები"-ს უბანში სასმელი წყლის პრობლემის მოწესრიგებას, შედგენილია ცხრაასიათას ლარიანი პროექტი, მიმდინარეობს ამ პროექტის განხილვა შესაბამისი სამსახურის მიერ. სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილემ ალუდა თუთისანმა გზების საკთხთან დაკავშირებით განმარტა, რომ სოფელ აღვში დროებით შეჩერებული სარეაბილიტაციო სამუშაოები განახლდა და მიმდინარეობს მუშაობა, უახლოეს დღეებში სოფლის პროგრამითა და მუნიციპალიტეტის თანადაფინანსებით დაიწყება მუშაობა ნასპერი-სანორჩის გზაზე, მან აგრეთვე პასუხი გასცა ცენტრალურ გზებზე არსებულ საკანალიზაციო ჭების საკთხს და აღნიშნა, რომ ჭების დაბეტონება ვერ მოხდება, ვინაიდან ხშირად დგება მათი გაწმენდის აუცილებლობა. რაც შეეხება ქ. ცაგერში ე.წ. ,,ატეკის ეზოს", მოსახლეობის მიერ ხდება აღნიშნული ტერიტორიის დანაგვიანება, თუმცა დროდადრო ვახდენთ ტერიტორიის დასუფთავებას.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის და სხვა საკითხებზე მსჯელობა-განხილვის დასრულების შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ ჭაბუკი ჭაბუკიანმა 2023 წლის 6 სექტემბრის მორიგი სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარე: ჭაბუკი ჭაბუკიანი